შერვუდ ანდერსონი

ხელები

(მოთხრობათა კრებულიდან „ უაინსბურგი, ოჰაიო.“)

ინგლისურიდან თარგმნა: ზურაბ სონღულაშვილმა

თბილისი, 2020 წ.

ხელები

ოჰაიოს შტატის ქალაქ უაინსბურგის ახლოს ხრამის პირას მდგარი პატარა ხის სახლის ნახევრად დამპალ ვერანდაზე მსუქანი ჩია მოხუცი მამაკაცი ნერვიულად ბოლთას ცემდა ბოლთას. სახლის წინ გრძელი მინდორი გადაშლილიყო. მინდორში სამყურა დაეთესათ, მაგრამ იქაურობას ყვითელი მდოგვის სარეველას ხშირი ბუჩქნარი მოსდებოდა. კაცი მინდვრის გაღმა გამავალ გზატკეცილს აკვირდებოდა. გზაზე ფურგონი გამოჩნდა, რომელიც მინდვრებიდან დაბრუნებული კენკრის მომგროვებელი გოგო - ბიჭებით იყო სავსე. ახალგაზრდები ხმამაღლა ყვიროდნენ და ხარხარებდნენ. წითელპერანგიანი ბიჭი ფურგონიდან ჩამოხტა და ერთ-ერთ ქალიშვილს ავტომანქანიდან თავისკენ ექაჩებოდა. გოგონა ბიჭის საქციელს წივილ-კივილით აპროტესტებდა. ბიჭის ფეხებმა გზაზე მტვრის ღრუბელი დააყენა, რომელიც ჩამავალ მზის დისკოზე დაეკიდა. გრძელი მინდვრის გაღმა მხრიდან ქალწულის სუსტი ხმა გაისმა - „ეი, შენ, უინგ ბიდლბომ, თმა დაივარცხნე, თვალებზე გეფხატება," ბრძანების კილოთი მოუხმობდა ხმა კაცს, რომელიც მელოტი იყო და მის პატარა ნერვიულ ხელებს თეთრ შიშველ შუბლზე ისე ათამაშებდა, თითქოს აბურდულ კულულების გროვას ისწორებსო.

უინგ ბიდლბომი, სამუდამოდ შეშინებული და მოჩვენებებით და ეჭვებით შეპყრობილი არანაირად არ თვლიდა თავს იმ ქალაქის ცხოვრების ნაწილად, სადაც მან ოცი წელი გაატარა. უაინსბურგში იგი მხოლოდ ერთ პიროვნებას, „ნიუ უილარდ ჰაუზის" მესაკუთრის, ტომ უილარდის ვაჟს ჯორჯ უილარდს დაუახლოვდა. მათ შორის რაღაც მეგობრობის მსგავსი ურთიერთობა გაიბა. ჯორჯ უილარდი „უაინსბურგ იგლ"-ის რეპორტიორად მუშაობდა და ზოგჯერ საღამოობით ფეხით გზატკეცილის გავლით უინგ ბიდლბომს სახლში სტუმრობდა.

მოხუცი ხელების ნერვიული მოძრაობით ვერანდაზე ბოლთას ცემდა იმ იმედით, რომ ჯორჯ უილარდი მოვიდოდა და საღამოს მასთან ერთად გაატარებდა. კენკრის მომგროვებლების ფურგონმა რომ ჩაიარა, უინგ ბიდლბომმა მაღალ მდოგვის სარეველებს შორის მინდორი გადაჭრა, ლატანის ღობეზე აძვრა და ქალაქში მიმავალ გზას მოუსვენრად აკვირდებოდა. ცოტა ხანს ასე იდგა, შემდეგ კი უცაბედად შიშმა აიტანა, სახლისკენ გაიქცა და ისევ ვერანდაზე ბოლთის ცემას მოჰყვა.

უინგ ბიდლბომს, რომელიც უკვე ოცი წელია ქალაქისთვის გამოცანა იყო, ჯორჯ უილარდის თანდასწრებით შიში ნაწილობრივ უქრებოდა და ეჭვების მორევში გადაშვებული მისი იდუმალი პიროვნება ცხოვრების ავან-ჩავანზე იწყებდა ლაპარაკს. ახალგაზრდა რეპორტიორთან ერთად იგი დღისით-მზისით მეინ სთრითზე გასვლასაც კი ბედავდა, ან საკუთარი სახლის მორყეულ ვერანდაზე დააბოტებდა და აღელვებით ლაპარაკობდა. მისი დაბალი და აკანკალებული ხმა მჭექარე და ხმამაღალი ხდებოდა და მისი მოხრილი ტანი სწორდებოდა. ბიდლბომ მუნჯი საუბარს მებადურის მიერ ნაკადულში დაბრუნებული თევზის მსგავსად, რაღაცნაირი ფართხალით იწყებდა, ცდილობდა მის გონებაში მრავალწლიანი სიჩუმის შედეგად დაგროვილი ფიქრები სიტყვებით გადმოეცა.

მოხუცს ხელებით სჩვევოდა ლაპარაკი. მისი თხელი, მეტყველი თითები, მუდამ აქტიური, მუდამ მოხუცის ჯიბეებში ან მის ზურგს უკან დამალულები, უცბად გამოჩნდებოდნენ და მისი ექსპრესიული მანქანის ბარბაცებად გადაიქცეოდნენ ხოლმე.

უინგ ბიდლბომის ისტორია - ხელების ისტორიაა. ეს მეტსახელი მოხუცს მისი ხელების მოუსვენარი ქცევის გამო შეერქვა, რომელიც ტყვეობაში მყოფი ფრინველის ფრთების ცემას გავდა. იგი ქალაქის რომელიღაც უცნობმა პოეტმა მოიფიქრა. ხელები მის პატრონს მოსვენებას არ აძლევდნენ. მოხუცი სულ ცდილობდა ხელები დაემალა და გაოცებით უყურებდა სხვა ადამიანების მშვიდ და არამეტყველ ხელებს, რომლებიც მის გვერდით მინდვრებში იდგნენ ან მანქანით გვერდით ჩაუვლიდნენ, როცა მუშათა მძინარე ბრიგადებს სოფლის გზებზე აქეთ-იქით დაატარებდნენ.

ჯორჯ უილიარდთან საუბრის დროს უინგ ბიდლბომი მუშტებს კრავდა და მათ მაგიდას ან საკუთარი სახლის კედლებს უბრახუნებდა. ასე ის თავს უფრო კომფორტულად გრძნობდა. თუ ჯორჯთან ერთად მინდორში სეირნობის დროს ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა, ხის კუნძს ან ღობის თავფიცარს მოძებნიდა და მასზე ხელებს ენერგიულად აკაკუნებდა. ეს მას ლაპარაკს უადვილებდა.

უინგ ბიდლბომის ხელების ამბავი ცალკე აღებულ ერთ წიგნად ღირს. თუ თხრობის დროს თანაგრძნობას გამოვიჩენთ, შესაძლებელია უცნობ ადამიანებში მრავალი უცნაური და ლამაზი თვისება აღმოვაჩინოთ, მაგრამ ეს უკვე პოეტის საქმეა. უაინსბურგში ეს ხელები ყურადღებას უბრალოდ მათი აქტიურობის გამო იქცევდნენ. ამ ხელებით უინგ ბიდლბომი დღეში დაახლოებით ასორმოც კვარტ მარწყვს აგროვებდა. ხელები მოხუცის სავიზიტო ბარათად, მის დიდების წყაროდ გადაიქცნენ. ამასთან ერთად, ხელები უინგ ბიდლბომის ისედაც გროტესკულ პიროვნებას უფრო მეტ გროტესკულობას ანიჭებდნენ. უაინსბურგი ისევე ამაყობდა უინგ ბიდლბომის ხელებით, როგორც ბანკირი უაითის ახალი ქვის სახლით და უესლი მოიერის ქურანა ულაყით, ტონი ტიპით, რომელმაც ჩორთით დოღში კლივლენდის საშემოდგომო რბოლა მოიგო.

რაც შეეხება ჯორჯ უილარდს, მას ბევრჯერ უნდოდა უინგ ბიდლბომისთვის ხელების შესახებ ეკითხა. ზოგჯერ დაუოკებელი ცნობისწადილი შეიპყრობდა. მისი აზრით, ალბათ რაღაც მიზეზი უნდა ყოფილიყო, რის გამოც ხელები ასე უცნაურად იქცეოდნენ და სულ დამალვას ცდილობდნენ. მხოლოდ უინგ ბიდლბომისადმი მისი დიდი პატივისცემის გამო ჯორჯ უილარდი თავს უფლებას ვერ აძლევდა მოხუცისთვის პირში მიეხალა კითხვები, რომლებიც მას ხშირად აწუხებდა. ერთხელ ჯორჯმა თითქმის დააპირა კიდეც ამის გაკეთება.

ზაფხულის ერთ შუადღეს მინდვრებში ხეტიალის დროს ჯორჯი და მოხუცი დასასვენებლად ბალახიან ნაპირზე ჩამოსხდნენ. მოხუცი მთელი შუადღის განმავლობაში შთაგონებულივით ლაპარაკობდა და გიგანტური კოდალას მსგავსად ხელებს ღობის ფიცარზე აბრახუნებდა. იგი ჯორჯს ხმამაღლა კიცხავდა იმის გამო, რომ თითქოს ეს უკანასკნელი გარშემომყოფთა გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდა. „თავს ინადგურებ," ყვიროდა იგი. „შენ მარტო ყოფნა და ოცნება გიყვარს, მაგრამ ოცნებები გაშინებს. შენ გინდა ამ ქალაქში, როგორც სხვები, ისე იცხოვრო. მათ ლაპარაკს უსმენ და ცდილობ მიბაძო."

ბალახიან ნაპირზე უინგ ბიდლბომი შეეცადა, უფრო დამაჯარებელი ყოფილიყო. ნელ-ნელა ხმაში სირბილე შეეპარა. თითქოს რაღაც გაახსენდა. შემდეგ, კმაყოფილებით ამოიოხრა და ოცნებაში წასულივით დიდხანს და აბნეულად ლაპარაკობდა.

ამ ოცნებებიდან უინგ ბიდლბომმა ჯორჯ უილარდს ერთი სურათი დაუხატა, რომელშიც ადამიანები ჯერ კიდევ პასტორალურ ოქროს ხანაში ცხოვრობდნენ. გაშლილ ამწვანებულ ქვეყანაში ლამაზი გარეგნობის ჭაბუკები გამოჩნდნენ. ზოგი ფეხით მოდიოდა, ზოგიც ცხენზე ამხედრებული. ახალგაზრდები ერთად შეგროვდნენ და მოხუცი კაცის ირგვლივ ჩამოსხდნენ. კაცი პატარა ბაღში ხის ქვეშ იჯდა და ახალგაზრდებს ესაუბრებოდა.

უინგ ბიდლბომი შთაგონებამ მთლიანად დაიმორჩილა. ცოტა ხნით ხელებიც კი დაავიწყდა. ჯორჯ უილარდისკენ ნელა გამოაცოცა და მხრებზე დაადო. მის ხმაში რაღაც ახალმა და გაბედულმა გაიჟღერა. „ეცადე, რაც გისწავლია ყველაფერი დაივიწყო," წარმოთქვა მოხუცმა. „ოცნება უნდა დაიწყო. დღეიდან ყურები სხვათა ხმების ღრიალისგან უნდა დაიხშო."

უინგ ბიდლბომმა ლაპარაკი შეწყვიტა და ჯორჯ უილარდს ხანგრძლივი და სერიოზული მზერა მიაპყრო. თვალები გაუბრწყინდა. ხელები ისევ ასწია, რომ ბიჭს მოფერებოდა და ამ დროს მის სახეზე შიშმა გაიელვა.

სხეულის კონვულსიური მოძრაობით უინგ ბიდლბომი ფეხზე წამოხტა და ხელები შარვლის ჯიბეებში ღრმად ჩაიყო. თვალებზე ცრემლები მოადგა. „სახლში უნდა წავიდე. შენთან საუბარი აღარ შემიძლია," წარმოთქვა მან ნერვიულად.

მოხუცი ფერდობზე სწრაფი ნაბიჯით უკანმოუხედავად დაეშვა, მინდორი გადაიარა და გაოგნებული და შეშინებული ჯორჯ უილარდი ბალახიან გორაკზე მარტო დატოვა. შიშისაგან აცახცახებული ბიჭი წამოდგა და ქალაქისკენ მიმავალ გზას დაადგა. „ხელების შესახებ ჯობია არაფერი ვკითხო," გაიფიქრა მოხუცის თვალებში დანახული შიშით შეძრულმა ბიჭმა. „რაღაც ხდება, მაგრამ არ მინდა ვიცოდე. მისი ხელები რაღაც კავშირში უნდა იყოს იმ შიშთან, რომელსაც იგი ჩემ და სხვების მიმართ განიცდის."

ჯორჯ უილარდი მართალი იყო. მოდით, მოკლედ განვიხილოთ ხელების ისტორია. იქნებ მან გამოაღვიძოს რომელიმე პოეტი, რომელიც მოგვითხრობს დაფარულ და საოცარ ამბავს იმ ზემოქმედების შესახებ, სადაც ხელები მხოლოდ იმედის მოციმციმე შუქურა იყო.

ახალგაზრდობაში უინგ ბიდლბომი პენსილვანიის ერთ-ერთ ქალაქში სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. სკოლაში მას უინგ ბიდლბომის სახელით კი არ იცნობდნენ, არამედ ნაკლებად კეთილხმოვანი სახელი, ადოლფ მაიერსი ერქვა. ადოლფ მაიერსი სკოლის ბიჭებს ძალიან უყვარდათ.

ადოლფ მაიერსი მოწოდებით მასწავლებელი გახლდათ. იგი ერთ-ერთი იმ იშვიათ ადამიანთაგანი იყო, ვისიც ნაკლებად ესმით და ვისი ძალაუფლებაც რბილია, მაგრამ ასეთი სისუსტე სხვებისთვის მიმზიდველი ხდება. მოსწავლე ბიჭებისადმი მსგავსი გრძნობებით ასეთი მამაკაცები მშვენიერი ქალებისგან მამაკაცებისადმი მათ სიყვარულში დიდად არ განსხვავდებიან.

თუმცა, ეს, ცოტა არ იყოს, უხეშად არის ნათქვამი. ამისთვის პოეტია საჭირო. საღამოობით ადოლფ მაიერსი თავის მოსწავლე ბიჭებთან ერთად სასეირნოდ დადიოდა ან რაღაცნაირად ოცნებებში ჩაძირული მათთან სკოლის კიბეებზე ჩამომჯდარი შებინდებამდე საუბრობდა. ამ დროს მისი ხელები აქეთ იქით მოძრაობდნენ, ბიჭებს მხრებზე ეფერებოდნენ, მათი აბურძგნული თმებით თამაშობდნენ. საუბრის დროს მასწავლებლის ხმა სულ უფრო და უფრო რბილი და მუსიკალური ხდებოდა. მის ხმაშიც ალერსი იყო. გარკვეულწილად, მისი ხმით, ხელებით, მხრებზე მოფერებით და თმაზე შეხებით მასწავლებელი ცდილობდა მისი ოცნება ბიჭების გონებაში გადაეტანა. ალერსიანი თითებით, თვითგამოხატვას ცდილობდა. მაიერსი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, ვისშიც ძალა, რომელიც სიცოცხლეს შობს, გაფანტულია და არა კონცენტრირებული. მასწავლებლის ალერსი ბიჭების გონებიდან ყველანაირ ეჭვს და ურწმუნოებას დევნიდა და ისინიც ოცნებას იწყებდნენ.

შემდეგ ტრაგედია მოხდა. სკოლის ერთ გონებასუსტ მოსწავლე ბიჭს ჩვენი ახალგაზრდა მასწავლებელი გულში ჩაუვარდა. ბიჭმა ღამით თავის საწოლში ენითაუწერელი სურათები წარმოიდგინა და დილით მისი ფანტაზიები, როგორც ფაქტები, ისე მოყვა. ბიჭუნას ბაგეებს უცნაური და საშინელი ბრალდებები წამოსცდა. პენსილვანიის ქალაქს ჟრჟოლამ გადაუარა. ის ბუნდოვანი ეჭვები, რომლებიც მამაკაცებს ადოლფ მაიერსთან დაკავშირებით ჰქონდათ, მათთვის გამართლდა. უბედურებამაც არ დააყოვნა.

აკანკალებული ყმაწვილები საწოლიდან წამოაგდეს და დაკითხეს. „ხელი მომხვია," თქვა ერთმა. „თითებით ჩემი თმებით თამაშობდა," დაამატა მეორემ.

ერთ დღეს, ქალაქის მკვიდრი და ბარის მეპატრონე, ჰენრი ბრედფორდი, სკოლის კარებს მიადგა, ადოლფ მაიერს დაუძახა და სკოლის ეზოში მუშტებით ცემა დაუწყო. რაც უფრო ძლიერად ურტყამდა მასწავლებელს შეშინებულ სახეში მუშტებს, მისი რისხვა მით უფრო საშინელი ხდებოდა. გაოგნებული ბავშვები სკოლის ეზოს აქეთ იქით დამფრთხალი მწერებივით აწყდებოდნენ. „მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ჩემი ბიჭისთვის ხელების ფათური, შე ნადირო," ღრიალებდა ბარის მეპატრონე, რომელიც ბოლოს მუშტი-კრივისგან დაღლილი მასწავლებელს ეზოში წიხლების კვრით უკან დასდევდა.

ადოლფ მაიერსი იმ ღამესვე ქალაქიდან გააძევეს. მის სახლის კარებთან, სადაც იგი მარტო ცხოვრობდა, ფარნებით ხელში დიდძალი ხალხი შეგროვდა. უბრძანეს ჩაეცვა და გარეთ გამოსულიყო. წვიმდა და ერთ-ერთ მამაკაცს ხელში ბაწარი ეჭირა. გადაწყვეტილი ჰქონდათ, სკოლის მასწავლებელი ჩამოეხრჩოთ, მაგრამ იგი ისეთი პატარა, გაფითრებული და საცოდავი იყო, შეეცოდათ და გაუშვეს. მოგვიანებით, როცა დაინახეს მაიერსი სიბნელეში როგორ გარბოდა, ინანეს, სისუსტე რომ გამოიჩინეს და უკან დაედევნენ, თან ლანძღავდნენ და ჯოხებს და რბილი ტალახის მოზრდილ გუნდებს ესროდნენ. მასწავლებელი ყვირილით ღამის წყვდიადში უკანმოუხედავად გარბოდა.

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ადოლფ მაიერსი უანსბურგში მარტო ცხოვრობდა. იგი ორმოცი წლის იყო, მაგრამ სამოცდახუთი წლის კაცს გავდა. გვარი ბიდლბომი მან სატვირთო სადგურში საქონლის ყუთის წარწერაზე ნახა, როცა დასავლეთ ოჰაიოს ქალაქიდან გარბოდა. უინგ ბიდლბომს უანსბურგში დეიდა ჰყავდა, მოხუცი ქალი ჩაშავებული კბილებით, რომელიც ქათმებს უვლიდა. ბიდლბომი და დეიდამისი ამ უკანასკნელის სიკვდილამდე ერთად ცხოვრობდნენ. პენსილვანიის ინციდენტის შემდეგ

უინგ ბიდლბომმა ერთი წელი იავადმყოფა და გამოჯანმრთელების შემდეგ მინდვრებში დღიურ მუშად მოეწყო. მუდამ შეშინებული დადიოდა და ხელების დამალვას ცდილობდა. მან მართალია ვერ გაიგო, რა მოხდა, მაგრამ გრძნობდა, რომ დამნაშავე მისი ხელები უნდა ყოფილიყვნენ. სკოლის მოსწავლე ბიჭების მამები წინანდებურად ისევ ხელებზე ლაპარაკობდნენ. „ხელები დაიმოკლე," ღრიალებდა ბარის მეპატრონე და სკოლის ეზოში ცოფიანი ძაღლივით ცეკვავდა.

ხრამის პირას მდებარე სახლის ვერანდაზე უინგ ბიდლბომი ბოლთას ცემდა. მზე ჩავიდა და მინდვრის გაღმა გზა ნაცრისფერ ჩრდილებში ჩაიძირა. მოხუცი სახლში შევიდა, პურის ნაჭრები მოიჭრა და ზედ თაფლი წაუსვა. კენკრის დღიური მოსავლით დატვირთული ღამის ჩქარი მატარებლის გუგუნი მიწყნარდა და ზაფხულის ღამის სიჩუმემ დაისადგურა. მოხუცი კვლავ ვერანდაზე გავიდა. სიბნელეში თავის ხელებს ვერ ხედავდა და ისინიც მშვიდად იყვნენ. მას ისევ ბიჭთან ყოფნა სწყუროდა. ჯორჯ უილარდი იყო ის, ვინც მოხუცს ეხმარებოდა, ადამიანების მიმართ თავისი სიყვარული გამოეხატა. ეს წყურვილი ისევ მისი მარტოობისა და ლოდინის ნაწილად გადაიქცა. მოხუცმა ლამპა აანთო და მისი მოკრძალებული სადილის ნარჩენებით დასვრილი რამდენიმე თეფში გარეცხა. შემდეგ გასაშლელი საწოლი ვერანდაზე გამავალ ცხაურიან კართან მიაჩოჩა და დასაძინებლად მოემზადა. მაგიდასთან სუფთად გარეცხილ იატაკზე თეთრი პურის ნამცეცები ეყარა; ბიდლბომმა ლამპა დაბალ ტაბურეტზე დადგა და ნამცეცების აკრეფას შეუდგა. ნამცეცები დაუჯერებელი სისწრაფით სათითაოდ პირთან მიჰქონდა. მაგიდის ქვეშ სინათლის სქელ ლაქაში მუხლებზე მდგარი ფიგურა საკუთარ ეკლესიაში მწირველ მოძღვარს გავდა. მისი ნერვიული და მეტყველი, სინათლის შუქით ხან განათებული და ხანაც უხილავი თითები როზარის მარცვლებზე სწრაფად მლოცველი მორწმუნის თითებს მოგაგონებდათ.

თუ ეს ისტორია მოგეწონათ, გთხოვთ, იგი სხვებსაც გაუზიაროთ: